შ.პ.ს.“მარიამი 2019“ ს/კ 406279085

თბილისი, სამგორის რაიონი, ლითონ-
კონსტრუქციის VI დასახლება, #116, ბ-6

დირექტორი: ლევან ასკურავა

ელ.ფოსტა: newmariam.2017@gmail.com

ტ. **593 10-81-81**.

საქართველოს გარემოს დაცვის და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „მარიამი 2019“-ს, ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქუჩა #40-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **01.19.32.001.048**, გეგმავს **ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო, კერძოდ მაკულატურიდან აწარმოებს ჰიგიენური ტუალეტის ქაღალდს. აღნიშნულმა საწარმოს ფუნქციონირება დაიწყება ჩინეთიდან საჭირო დანადგარების ჩამოტანისა და შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვის აღების შემდეგ.** (ტერიტორიის GPS კოორდინატები: X=493084.00; Y=4612228.00):

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შ.პ.ს. „მარიამი 2019“-ის მიერ **ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირებასთან** დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქუჩა #40-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **01.19.32.001.048, რომელიც წარმოადგენს სამრეწვწლო ზონას**. აღნიშნული ტერიტორია თავისი შენობა-ნაგებობებით წარმოადგენს **ლუბა ჯიბლაძის (პ/ნ 60001094786) საკუთრებას.** მის საკუთრებაში რიცხული ქონების განსაზღვრულ ნაწილს - 400 კვ.მ. ანგარის ტიპის ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართს, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აქვს აღებული შპს „მარიამი 2019“-ს, რომელიც ძალაშია 2019 წლის 01 ივნისიდან 2020 წლის 01 მაისამდე.

უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულიიქნება 150 მეტრი მანძილით.

საწარმოო ტერიტორიაზე არსებულ 400 $მ^2$ ფართობის შენობაში დამონტაებული იქნება ჩინური წარმოების საერთაშორისო სერთიფიკატის მქონე 2019 წელს გამოშვებული დანადგარი (1092 Paper make line (1.5 – 2.0 tons)). (იხ. სურათი 1.)

დანადგარის მაქსიმალური საპროექტო წარმადობა შეადგენს 2000 კგ დღე-ღამეში, ანუ წელიწადში 660 ტონა პროდუქციის წარმოებას. ამ ოდენობით პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო მაკულატურას რაოდენობაა დღე-ღამეში 2200 კილოგრამი, ანუ 726 ტონა წელიწადში.

საწარმოში მაკულატურა შემოიტანება სხვადასხვა სახის ორგანიზაციებიდან, სტამბებიდან, ბიბლიოთეკებიდან, საიდანაც იღებს მხოლოდ წიგნებს, რვეულებს, გაზეთებს და საბეჭდ-ობსეტურ ქაღალდის ნარჩენებს.

სურათი 1. ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი დანადფარი (1092 Paper make line (1.5 – 2.0 tons))

საწარმოში გადამუშავების პირველ ეტაპზე ხდება მაკულატურის გადარჩევა. ტექნოლოგიურად ვარგისი მასალა არ უნდა შეიცავდეს უცხო მინარევებს: პოლიეთილენს, პლასტმასს, მეტალს, თოკებს, ე.წ. „სკოჩს“. მაკულატურა არ უნდა იყოს დაბინძურებული ზეთოვანი და ცხიმოვანი ნივთიერებებით, არ უნდა იყოს წყალში უხსნადი მასალა - კალკა, სურათები, ელ. კარდიოგრამის ფირები და ა.შ. საწარმოში ხელით გადარჩევისას ხორციელდებაქ ზემოთ ჩამოთვლილი არა საჭირო ინგრდიენტების მოცილება. გადარჩევისას წარმოქმნილი ნარჩენები იყრება ნაგვის ბუნკერში, რომელიც შემდგომ გააქვს ქ. თბილისის დასუფთავების სამსახურს.

გასუფთავებული (ხელით გადარჩეული) მაკულატურა მიეწოდება ჰიდროდამაქუცმაცებელ რეზერვუაღში, რომლის დანიშნულებაა ქაღალდის მაკულატურის დაქუცმაცება და ბოჭკოების განშრევება. დამუშავება მიმდინარეობს წყალთან ერთად ყოველგვარი დანამატებისა და საღებავების გარეშე (მეორადი ქაღალდიდან მიიღება ისევ ქაღალდი). დაქუცმაცებული მასა გადადის მეორე რეზერვუარში, საიდანაც წყლის წისქვილნასოსის

საშუალებით ადის ზემო მესამე რეზერვუარში. უკვე საბოლოოდ დაქუცმაცებული მასა ჩამოედინება კაპრონის ბადურაზე, საიდანაც წყალი ჩაედინება სპეციალურ სალექარ რეზერვუარში. წყალთან ერთად გამყოლ მცირე რაოდენობით დაქუცმაცებული მასა ილექება სალექარ რეზერვუარში, რომელიც იწმინდება ყოველ მესამე დღეს. სალექარ რეზერვუარში დარჩენილი სუფთა დალექილი წყალი მცირე ნაწილის ჩადინება შესაძლებელია მოხდეს ქ. თბილისის საკანალიზაციო ქსელში, ხოლო ძირითადი ნაწილი წყლის ნასოსით გადაიქაჩება წყლის რეზერვუარში, რომელიც გამოყენებული იქნება ხელახლად მაკულატურის გადასამუშავებლად.

კაპრონის ბადურაზე ჩამოდენილი ქაღალდის მასა ეკვრის ქაღალდის საშრობ ცილინდრს, რომელიც ცხელდება ორთქლის საშუალებით, რომელის გამომუშავებული იქნება ბუნებრივ აირზე მომუშავე საქვაბეში, სადაც მისი ხარჯი ტოლი იქნება 25 $მ^3$/სთ-ში, ანუ წელიწადში . 198000 $მ^3$. საბოლოოდ გამომშრალი მიღებული ქაღალდი ეხვევა დიდ რულონებად, რომლიდანაც შემდგომ გადახვევა ხდება სპეციალური ქაღალდის გადასახვევი დანადგარის მეშვეობით პატარა რულონებად, რომელსაც შემდგომ ეკვრის ეთიკეტი და შემდგომ იჭრება ქაღალდის საჭრელი ლენტური ხერხით. ჭრის დროს წარმოქმნილი ქაღალდის ნარჩენები ბრუბდება კვლავწარმოებაში.

ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ნაკვეთის ტერიტორიაზე რაიმე სახის ხე-ნარგავები არ არსებობს.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: მტვერი აზოტის ორჟანგი და ნახშირჟანგი.

საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება ქაღალდის დამაქუცმაცებელ დანადგარში, რომლის ძირითადი ნაწილი ბრუნვაშია და მისი ხარჯი თვეში დანამატების გათვალისწინებით 120 $მ^3$-ს არ აღემატება, ანუ წელიწადში 1320 $მ^3$-ს.

საყოფაცხოვრებო და საწარმოო მიზნებისათვის წყლის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო ფეკალური წყლებისა და ნაწილობრივ საწარმოო წყლების ჩაშვება განხორციელდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

რადგან საწარმოში არ გამოიყენება თხევადი საწვავი დაასევე საწარმმო მთელი პროცესში მიმდინარეობს დახურულ შენობაში ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

საწარმოს მთლიანი ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენ სამრეწველო ზონას, რომელიც მთლიანად მოშანდაკებულია.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან მისი ტერიტორია განთავსებულია საცხოვრებელი ზონიდან- 150 მეტრის დაცილებით, მთლიანად მთელი პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში და თვით საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ხმაურის დონე არ გადააჭარბებს 70 დეციბელს.

საწარმოში ძირითადად დასაქმებული იქნება 20 ადამიანი, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იქნება, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნები არ ფიქსირდება, ტერიტორიაზე რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში მეწარმე ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საწარმოს ფუნქციონირებისას წყლის გარდა რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან ანალოგიური ტიპის საწარმოები აღნიშნული ტერიტორიის სიახლოვეს არ არის.

საწარმოო პროცესში საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ მაკულატურის ხელით გადარჩევისას წარმოქმნილი ნარჩენები, რომლის წლიური რაოდენობა არ აღემატება 60 ტონას. აღნიშნული ნარჩენები საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად იყრება ბუნკერებში და მის გატანას ახორციელებს ქ. თბილისის დასუფთავების სამსახური.

საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენებისათვის განკუთვნილი ბუნკერი გათავსებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე, რომლიც გაიტანება პერიოდულად შესაბამისი სამსახურების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს საწარმოო ტერიტორიაზე რაიმე სახის ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების შენახვას. ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიები არ არის წარმოდგენილი ხშირი ტყით დაფარული ტერიტორიები (საერთოდ არ არსებობს), სადაც ხანძარი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს. ყოველივე აქედან გამომდინარე მაშტაბური სიდიდის ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის. სახანძრო უსაფრთხოებიშ მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

საქმიანობის პროცესში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებს მცირე ტონაჟიანი საავტომობილო ტრანსპორტს. აღნიშნულის გათვალისწინებით აგრეთვე არ არის მოსალოდნელი მიმდებარე შიდა გზების ან საავტომობილო მაგისტრალის სატრანსპორტო ნაკადის გადატვირთვა.

საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში, ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენან მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში არ არსებობს საქართველოს კანონით დასაერთაშორისო კონვეციით დაცული ტერიტორიები. დაცულ ტერიტორიებზე რაიმე სახით ზემოქმედები პრაქტიკულად გამორიცხულია.

საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სიახლოვეს რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გვხდება, არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი. აქედან გამომდინარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რაიმე სახით ზემოქმედები პრაქტიკულად გამორიცხულია.

საქმიანობის სპეციპიკის, მაშტაბისა და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პატივისცემით,

შ.პ.ს.“მარიამი 2019“-ს დირექტორი: /ლევან ასკურავა/

დანართები:

დანართი 1. მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.19.32.001.048**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882017271154 - 05/04/2017 13:29:32	**10/04/2017 20:11:39**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	**19**	**32**	**001/048**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის ქ. N40-ის მიმდ.

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 4061.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**01;**

შენობა-ნაგებობის ჩამონთვალი:N1, N2, N3, N4, N5

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017271154 , თარიღი 05/04/2017 13:29:32
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/04/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:05/04/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ლუბა ჯიბლაძე ,P/N: 60001094786

მესაკუთრე:
ლუბა ჯიბლაძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

დანართი 2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი



დანართი 3. დაგეგმილი საქმიანობის განთავსების სიტუაციური რუკა.